სამშობლო დ-დის ძუძუა, არ გაიცვლება ძიძაზედა..

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
30
მაისი
N 64 (10457)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღრმად მჯერა

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მოხდა ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი: საქართველოში პირველად იქნა არჩეული პრეზიდენტი. საზოგადოებამ გამოხატა თავისი ნება და ხმა უყოყმანოდ მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს ბატონ ზვიად გამსახურდიას ამას ყველანი მოველოდით. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რამეთუ მრავალი ქარიშხალ გამოვლილი ხალხი არ ცდება. მან გულით იწამა პიროვნება, ვინც ბევრი რამ დათმო პიროვნული, არაერთგზის საკუთარი სიცოცხლე ხიფათში ჩაიგდო მშობლიური ერის ინტერესების დასაცავად. ეს იყო იმთავითვე მისი მიწოდება, ბედი. ხალხი უმად არ გახლავთ. მან დაუფასა ბატონ ზვიადს ეს სულიერი გვემა და ხმალ ამოწვდილი ბრძოლა იმპერიასთან. აქ ერთ არსებით მომენტს მინდა ხაზი გავუსვა. მისი ოპონენტები გამოთქვამენ შიშს იმის გამო, რომ პრეზიდენტი ავტორიტარული სტილის მომხრეა და იგი პიროვნებათა თავისუფლებას შეზღუდავსო. ეს ამათ შიშია. მე მგონია ოპონენტიზმა ეს ამ აღიარებული პიროვნების დისკრედიტაციის მიზნით მოიგონ[illegible]. მე ვუსმინდი არჩევნების შემდგომ მის პირველ პრესკონფერენციას ჟურნალისტებთან და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია. პირიქით, პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ საქართველო დემოკრატიის კუნძული უნდა გახდეს მთელს იმპერიაშიო. მე მჯერა ამ სიტყვების. მჯერა, რომ ეროვნული ხელისუფლება ამ გამოწრთობილი და წინდახედული პოლიტიკური მოღვაწის მეთაურობით გაატარებს ყველა იმ რეფორმას, რასაც ასე მოუთმენლად ელის საქართველოს მოსახლეობა.

დ. გეთია,

აკ. წერეთლის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი.

## სიკეთეს ერთსულოვნება მოგვიტანს

დღეს ყოველი ჩვენგანის ფიქრი ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ავ-ბედს, დასტრიალებს. ადამიანები ივიწყებენ პირად საზრუნავს, საკუთარ ტკივილებს და ფიქრითა და საქმით სამშობლოს სამსახურში დგებიან.

ახლახან ვიზეიმეთ 26 მაისი — ერთერთი ნათელი თარიღი საქართველოს ისტორიაში. ქართველებთან ერთად უცხო ტომის აქ მოსახლე ადამიანებმა ამ დღეს ერთსულოვნად აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტი — ერის საამაყო შვილი ზვიად გამსახურდია. ამ ფაქტით დასაბამი ეძლევა თვისობრივად ახალ ეტაპს ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ისტორიაში, ქართველ ხალხს გვერდით უდგანან სომხები, ბერძნები, ქურთები, აზერბაიჯანელები და სხვები. რათა აყვავდეს(?) საქართველო. სწორედ ასეთი ერთსულოვნებაა იმის საწინდარი, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი საფრთხე თავიდან ავიცილოთ.

მაგრამ რეალურად შევხედოთ სინამდვილეს. რა ხდება ჩვენს თვალწინ. ისევ გულის დამღონებელი ფაქტები. სტიქიამაც გაგვწირა. ამას ემატება ურთიერთ მტრობა, შური, ამბიციების გამძაფრება. მერე და, ვის აძლევს ეს ხელს? რა თქმა უნდა, ჩვენს მტრებს, იმპერიულ ძალებს, რომელთაც სურთ ყოველნაირად შეაფერხონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

თანამემამულენო! მოძალადეთა შემოტევას, ამ წუთისოფლის სივერაგეს და აბსურდულობას ერთად ყოფნით, ერთმანეთის შეყვარებით და მიმტევებლობით უნდა ვძლიოთ.

დ. გერგედავა,

ინჟინერი

## ვიყვლით დემოკრატიის გზით

შინაგანი კმაყოფილება მომგვარა ბატონ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევამ. ხალხის გუმანი ამჯერადაც შეუმცდარი აღმოჩნდა. მან ერთსულოვნად მისცა ხმა პიროვნებას, ვინც სიყრმიდანვე მთელი თავისი მოწამებრივი ცხოვრება საკუთარი ერის თავისუფლების საქმეს მიუძღვნა.

ბატონმა ზვიადმა ცალსახად და გარკვევით განაცხადა ჟურნალისტებთან ამასწინანდელ შეხვედრაზე, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს უწესრიგობას, ანარქიას რესპუბლიკაში. წერტილი უნდა დაესვას განუკითხაობას, უსაქმურობას, უსაგნო ქილიკს და ავსიტყვაობას. ამიერიდან ოპოზიციამ უნდა გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი. ჯანსაღი, კეთილსინდისიერი, კონსტრუქციული ოპოზიცია დიახაც ჰაერივით სჭირდება ჩვენს საერთო საქმეს, მაგრამ მტრობით, ღვარძლით, პოლიტიკური ამბიციებით ნაკარნახევმა ქმედებამ შეიძლება მხოლოდ ზიანი მოგვაყენოს.

მოუთმენლად ველით საქართველოსათვის ეგზომ საჭირო საკანონმდებლო აქტების მიღებას. ეს დოკუმენტები შექმნიან იმის სამართლებრივ გარანტიებს, რომ თავისუფლად ამოისუნთქოს მშრომელმა კაცმა, მწვანე გზა გაეხსნას შერეულ ეკონომიკას, კერძო საკუთრებას, პირად ინიციატივას. თანდათან გაბედულად გადავიდეთ დემოკრატიული პრინციპებით საზოგადოებრივი ცხოვრების მართვაზე.

ნ. ჟღენტი(?) — ნ. ჟეჟია,

ქალაქის მესამე საბავშვო ბაღის უფროსი აღმზრდელი მასწავლებელი.

## „კეთილი გულით მიძღვნილი...“

ძნელია დღეს, საქართველოში, მოიძიო ადამიანი, რომელსაც გულთან ახლოს არ მიეტანოს ის გასაჭირი, რომელიც სტიქიის შედეგად თავს დაატყდათ ჩვენს თანამოძმეებს. მომხდარი უბედურება მოზარდებმაც გაითავისეს, საკუთარ ტკივილად მიითვალეს. დარჩელის არასრული საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებმა: ზ. აბსანძემ, თ. თოლორაიამ, თ. კორკელიამ, მ. მიქავამ, ვ. ცანავამ, ფ. კორკელიამ, ი. ჭეჟიამ, ლ. ხუბუამ, ბ. კორკელიამ, მ. სიჭინავამ, რ. ჭეჟიამ, ლ. სათალანძემ, ე. ხარჩილავამ, ა. ჯაშიამ სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდში პირადი დანაზოგიდან 700 მანეთი ჩარიცხეს.

ნათქვამია: „კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების“...

ლ. ხუფენია,

პედაგოგი.

---

თანადგომა

## ქველმოქმედთა რიგებს შეუერთდნენ

ყოველდღიურად იზრდება სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის მსურველთა რიცხვი. ქველმოქმედთა რიგებს შეუერთდა საიჯარო ფირმა „მეტყევეს“ კოლექტივი. მათ 10.000 მანეთი გადაურიცხეს თანამემამულეებს. ფულადი დახმარების გარდა სტიქიის ზონაში, კერძოდ, საჩხერესა და სადმელში გააგზავნეს სოლიდური თანხის სასურსათო საქონელი, 4,6 ტონა საწვავი.

საიჯარო ფირმის გამგეობის თავმჯდომარემ მ. ჯოლოგუამ პირადად, დაზარალებულთა ფონდში, გადარიცხა 500 მანეთი. თავმჯდომარის მოადგილემ გ. შამუგიამ 250 მანეთი, ხოლო ავტოპარკის უფროსმა ს. ბეჭვაიამ 150 მანეთი.

## ფესვმაგარნი ვართ

რაჭა-იმერეთისაკენ საქართველოს ყოველი კუთხიდან მანქანების დატვირთული კოლონა მიემგზავრება. ამ დღეებში რუხის საშუალო, ნაწულუკუსა და რუხის არასრული საშუალო სკოლების მოსწავლეებმაც ტანსაცმელთან ერთად პური, შაქარი, ჩაი, ფქვილი და სხვადასხვა დასახელების პროდუქტი გაუგზავნეს ონის რაიონის დაზარალებულ მოსახლეობას. საკვირველია გაჭირვების ჟამს ასეთი ყურადღება. მაგრამ მოსწავლეებმა ონის რაიონის პრეფექტურიდან თანადგომისათვის უკვე მიიღეს სამადლობელი ბარათი.

ნინო კუტალია,

## გაერთიანების წვლილი

როგორც ყველამ, საზკვების(?) საიჯარო რაიგაერთიანების მუშა-მოსამსახურეებმაც გულთან ახლოს მიიტანეს საქართველოში 29 აპრილს მიწისძვრის შედეგად დაზარალებული რაიონების მოსახლეობის ტრაგედია.

კოლექტივის თითოეულმა წევრმა გამოთქვა სურვილი ეკონომიკური დახმარება აღმოეჩინა გასაჭირში მყოფთათვის და 3-4 დღის ხელფასი გადაურიცხა ამ რაიონების მშრომელებს, გაერთიანების მუშაკებმა მ. შეროზიამ, ?. ჩუხუამ, თ. სორდიამ ერთი თვის ხელფასი — 200-200 მანეთი გაიღეს, ხოლო ნახევარი თვისა — შ. ჩუხუამ, გ. ბიგვავამ, ფ. მარლიამ, ჯ. ჯიქიამ, გ. ხარებავამ და მ. მირგატიამ.

საერთოდ, შრომითმა კოლექტივმა სტიქიით დაზარალებულთათვის გახსნილ ცეკავშირის კომერციული ბანკის № 521006 ანგარიშზე ჩარიცხა 4850 მანეთი.

ც. თოლორაია,

საზკვების საიჯარო რაიგაერთიანების პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

## ბარათი ონიდან

მიწისძვრისაგან დანგრეულ-გაპარტახებული ონის რაიონის სოფელ ცხმორის საკრებულოს მოსახლეობის სახელით თანადგომისა და მატერიალური დახმარებისათვის გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ზუგდიდის ჩაის საწნეხი ექსპერიმენტული ფაბრიკის კოლექტივს.

ბ. ფხალაძე,

ონის რაიონის სოფელ ცხმორის საკრებულოს გამგებელი.

## დიდოსტატთან ურთიერთობის ხიბლი

ქართული პროზის მშვენებას კონსტანტინე გამსახურდიას საოცრად თბილი ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს ქალაქთან. აქეთკენ მას ეწეოდა მშობლიური კოლხეთის ენით უთქმელი კოლორიტი, ნაცნობ-მეგობართა ფართო წრე, ოდიშართა სტუმართმოყვარეობა. აქ შეიგრძნობდა იგი ძალუმად უძველეს წინაპართა გენის გამონაშუქს, „ოდიოსა" და „ჩელას" მომაჯადოებელი ჰანგების სილბოს, ძველი კოლხეთის წარმართული მისტერიების იდუმალებას.

ზუგდიდში გამსახურდიების კეთ ...ინძელი გახლდათ ბატონი შოთა და მედიკო ...ლიების ოჯახი. განგების მიმართ დღემდე უზომოდ მადლიერია ეს ორი ადამიანი, თავად ოდიშური ზრდილობა თავაზიანობითა და სულიერი სინატიფით გამორჩეულნი, რამეთუ წლების მანძილზე ჰქონდათ შესაძლებლობა უშუალოდ ზიარებოდნენ გენიალურ მწერალთან ურთიერთობის ინტიმს, უხილავისა და იდუმალის შემცნობი მისნის შთაგონებულ სიტყვას.

ბატონ შოთა კვირკველიასთან შეხვედრა ყოველთვის საინტერესოა ახლაც ასე იყო. შევჩ დეთ ხელიდან არ გაგვეშვა შემთხვევა და ცნობილ ექიმს ვთხოვეთ გაეხსენებინა რამდენიმე ეპიზოდი დიდ კონსტანტინესთან ურთიერთობისა:

# ზეშთაგონების რაინდი

—ბატონო შოთა, იქნებ მოიგონოთ მწერლის ერთერთი ბოლოდროინდელი სტუმრობის ცალკეული პერიპეტიები?

—თუ მეხსიერება არ მღალატობს, 60-იანი წლები იდგა. ეს ის პერიოდია, როცა ბატონი კონსტანტინე ჯანის შესუსტებას ხშირად უჩიოდა. თუმცა შინაგან, სულიერ სიძაბუნეს ახლოს არ იკარებდა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ოდნავ შებინდებულზე მისი მტრედისფერი ავტომანქანა მოადგა ჩვენს ჭიშკარს. კონსტანტინეს და მისი მეუღლის, ქალბატონ მირანდას გამოჩენამ უჩვეულო სიხარულით აგვავსო. კურორტ ლიძავისკენ მიმავალნი ჩვენთან ჩამოხტნენ, რათა ღამე დაესვენათ და მეორე დილით აფხაზეთისაკენ განეგრძოთ მგზავრობა.

იმ საღამოს ჩვენმა სტუმრებმა მსუბუქად ივახშმეს და მგზავრობისაგან მოთენთილნი ძილს მიეცნენ.

მეორე დილით, რაღა თქმა უნდა, სათაყვანებელი პიროვნების სურნქვით გამთბარ ჭერქვეშ მაქსიმალური თადარიგი იქნა დაჭერილი. სიყვარულისა და მოფერების ქინი და სურვილი ერთბაშად დაიძრა სტუმარმასპინძელთა გულებიდან. კარგ გუნებაზე ჩანდა მწერალი, ოხუნჯობდა. ეზოში გაიარ-გამოიარა. ეამა სიმწვანე, ნაირფერი ყვავილების სურნელი. მახსოვს, რომელიღაც ბუჩქს თვალი დაადგა, მოეფერა და ჩემს მეუღლეს შეეხმიანა: ამ ყვავილის ნერგი შენი ხელით უნდა დამიბინაო ჩემს ეზოში, ვგონებ კოლხურ კოშკს უცილოდ დაამშვენებსო.

ენაწყლიანობდა, სიყვარულს აფრქვევდა ირგვლივ ბატონი კონსტანტინე. მალე მეგობრულ ტაბლასთან მეგობართა ვიწრო წრე შეიკრიბა: სულგანათლებული მამია გვათუა, ისაკი ქორთუა და შალვა შენგელი. თავისი დიდი ხნის მეგობარი ბესარიონ ჯანაშია მოისაკლისა.

—სუფრაზე ჩვეწებური კერძების გარდა არაფერი არ დამანახო, ჩემო ბუკა, — ღიმილნარევი კატეგორიული ტონით მიმართა ჭაბუკიასხლისს კონსტანტინემ.

და თავისი საყვარელი კეცის ხაჭაპურები რომ შემოიტანეს, თვალები გაუბრწყინდა და აღტაცებულმა შესძახა: ოო, აი ეს მესმის. რა საჭიროა ხაჭაპურის ათასნაირი კოსმეტიკით შელამაზება?

ტკბილად მოილხინეს სტუმრებმაც და მასპინძლებმაც. ხაზგასმული კრძალვით და სიყვარულით თვალებში შევცინცინებდით დიდოსტატს, ჩვენმა დიდებულმა ამჯერადაც არ უღალატნია ამ რიტუალისთვის, მამაკაცები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ჭიქის ავსებაში. თუმცა ეს დასხმაც სიმბოლური გახლდათ. დიდოსტატი ოდნავ მოსვამდა ჭიქას და დადგამდა. არც ჭამაში გახლდათ დიდი გურმანი. მხოლოდ ჩვენებურმა ელარჯმა და გებჟალიამ მიიპყრო მისი ყურადღება.

იმ დილით ბევრი რამ საინტერესო მოყვა ბატონმა კონსტანტინემ. კოლხეთის ისტორიას, მის თვითმყოფად კულტურასაც გადაწვდა. ოდიშელი კაცის იმ ღირსებებზე მიანიშნა, გენეტიკური კოდით რომ ჩაკირა მასში არსთა გამრიგემ. ცალკეულ მანკიერებსაც გაამახვილა ყურადღება. ყოველნაირად უნდა ვეცადოთ მოვიშოროთ ისინიო, —მოგვიწოდა. მერე კაკა ქვანია და გვანჯი ოქროპირმა მამია გვათუამ ზეპირად წარმოთქვა ნაწყვეტები „დიდოსტატის მარჯვენიდან". „მთვარის მოტაცებიდან". მსუბუქად შეზარხოშებულებმა სიმღერაც წამოიწყეს. სახე გაბადროდა მწერალს. სხვა დროს კოპებშეკრული, პირქუში კოლხი დარბაისელის თვალებში აღტაცების სხივმა იელვა. თავისი საყვარელი სიმღერა „ჯანსულო" წამოიწყო, სხვებიც აყვნენ. სხვა დროსაც მქონდა შენიშნული ასეთი დეტალი: ჭიქაში ღვინოს ბატონი კონსტანტინე. ლუდაკას არ დაასხმევინებდა

ჩიქოვანი მოიგონა, ... საინტერესო, კოლორიტული ... ნებები იყვნენო. ისინი შინაგანი თანდაყოლილი ინტუიციით ჭვრეტდნენ ადამიანთა ყოფის ყველა ფილოსოფიურ პარადოქსს, ცხოვრების უკიდეგანო ზღვაში სიძულვილისა თუ სიყვარულის ყველა ნაპირი მოვლილი ჰქონდათ. სიხარულით ცას ეწია, როცა მამია გვათუამ კაკაშ მიერ მეგრულ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის" საოცრად პოეტური ადგილები ზეპირად გააჟღერა.

სუფრას არც სევდიანი წუთები დააკლდა. ჩვენს სტუმარს თვალები მოეღრუბლა, როცა ამ ქვეყნიდან წასულთა მოსაგონარი ასწიეს. გაიხსენა ის მეგობარი მწერლებიც, ვისთანაც მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს წლებში ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში საზიარო ყანა ჰქონდა აღებული. დიახ, წარეკალიანი იყო დიდოსტატის გზა, შთაგონების ღმერთმა ყოფითი სიძნელეების ციცაბოებზეც საკმაოდ ატარა იგი.

იმავ დილით ჩვენი სტუმრები ლიძავის საზაფხულო აგარაკისაკენ გაემგზავრნენ.

ბევრი რამ იცვლება ცხოვრებაში. მაგრამ არის მუდმივი ფონდი სულიერი საგანძურისა, რომელსაც ჟამთა სრბოლა ვერაფერს აკლებს. დიდოსტატის კონსტანტინეს მხატვრული სიტყვის მაგიაც მარად დარჩება ქართველი ხალხის სულიერი ერთიანობის, მაღალი ზნეობის დვრიტად.

ესაუბრა ზურაბ ცხონდია.

# ვესწავლოთ ეროვნული მოძრაობის ისტორია

### (მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქის № 2 საშუალო სკოლაში გაიხსნა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის კაბინეტი)

ვინ მოთვლის რამდენი ძვირფასი თარიღი ოქროს ასოებით ჩაიწერა მრავალტანჯული საქართველოს ისტორიის მატიანეში. ამაზე თვალნათლივ მეტყველებენ ჩვენი ისტორიული ძეგლები და ნანგრევები, რომლებმაც ჟამთა სვლას გაუძლეს. მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულთა წამების ყოველი დღე თვითმყოფადობის ნიშნით არის შემორჩენილი ქართველთა ხსოვნაში. ერთერთი ასეთი ძვირფასი თარილია 26 მაისი, ეს რიცხვი მრავალისმეტყველია შთამომავლობისათვის სიმბოლურია ეს დღეც რადგან იგი დაემთხვა თავისუფალი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეს. ამ დღეს დაიბადა ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა. ამ დღეს ქართველმა ხალხმა, ისე როგორც ეს კულტურული, ცივილიზებული ქვეყნების ხალხებს შეჰფერით, რუსეთის ორასწლიანი მონური უღლის გადაგდების შემდეგ აირჩია თავისი პრეზიდენტი, ყველასგან გამორჩეული პიროვნება ზვიად გამსახურდია, რომელიც წინ უნდა წარუძღვეს თავის ერს იმ საბოლოო მიზნის მისაღწევად რომელსაც საქართველოს სრული დამოუკიდებლობა ჰქვია.

ჩვენს წარსულს, საქართველოს ისტორიას არაერთი ძვირფასი სახელი ახსოვს ეროვნული გმირისა, არა ერთი სახელი შემოუნახავს ერისკაცისა. ხალხი ბრძენია და იგი ყოველთვის შარავანდედით მოსავდა მათ სახელებს. ასე იყო ეს დასაბამიდან და ასეა დღესაც.

სიმბოლურია, რომ 26 მაისს მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქის № 2 საშუალო სკოლაში გაიხსნა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის კაბინეტი, რომელსაც წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები. სკოლის პედაგოგების, მოსწავლე ახალგაზრდობის გულმოდგინე მეცადინეობით შეგროვდა დიდძალი ფოტოილუსტრაციები, ჟურნალები, გაზეთები, რომელშიც ასახულია საქართველოში ეროვნული მოძრაობის ისტორია დასაწყისიდან დღემდე.

26 მაისს სკოლაში თავი მოიყარეს პედაგოგებმა, მშობლებმა, მოსწავლეებმა და სტუმრებმა. კაბინეტის გახსნამდე სტუმრებმა დაათვალიერეს ქართული სიტყვის დიდოსტატის კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი კაბინეტი. მწერლის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებზე, კაბინეტში თავმოყრილ ფოტოილუსტრაციებზე და კონსტანტინე გამსახურდიას ზუგდიდში სტუმრობის შესახებ დამთვალიერებლებს ესაუბრა მწერლის კაბინეტის შექმნის ინიციატორი და ორგანიზატორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. მაქაცარია.

დამსწრენი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სახალხო განათლების განყოფილების გამგის ლ. კვირკველიას გამოსვლას, რომელმაც კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტს გადასცა მაგნიტოფონი.

12 საათზე საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის ამსახველი კაბინეტის გახსნის ცერემონიალი დაიწყო. ლენტის გაჭრის საპატიო მისია წილად ხვდა ამ სკოლის მეათე კლასის წარჩინებულ მოსწავლეს რ. კაკულიას, რომელიც სტუმრებს კაბინეტის დახათვალიერებლად იწვევს.

ტრიბუნაზე სკოლის დირექტორი ქ. სიგუა. იგი დამსწრეებს მოუთხრობს თუ რაოდენ დიდი როლის შესრულება ეკისრება კაბინეტს მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან მოსწავლეები ლ. ქებურია, დ. მიქაია, დ. ქანთარია, ლ. დამენია, და სხვები.

მერაბ კოსტავას რეგიონალური საზოგადოება,—თქვა თავის გამოსვლაში ამ საზოგადოების თავმჯდომარემ ზ. კიტიამ,— მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს ახლადგახსნილი კაბინეტის სრულყოფისა და გამდიდრებისათვის. მორალურ მხარდაჭერასთან ერთად ჩვენი საზოგადოება საჭირო სახსრებს არ დაიშურებს და შეეწევა სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს.

ეროვნული მოძრაობის ისტორიის კაბინეტის გახსნას ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა ქალაქისა და რაიონის პრეფექტი თ. ჟორჟოლიანი.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის კაბინეტის შექმნით,—ამბობს იგი,—დიდი და საშვილიშვილო საქმე გააკეთა მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქის № 2 სკოლამ. ეს წამოწყება საყოველთაო მიბაძვის ღირსია. თუ გვინდა რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ იცოდეს როგორი ტიტანური შრომისა და ბრძოლის ფასად მოიპოვეს ეროვნული მოძრაობის ორგანიზატორებმა გამარჯვება, რომელსაც დღეს ვზეიმობთ, ყველა სკოლასა და კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ასეთი კაბინეტი.

## თავისუფალ საქართველოს მიეძღვნა

ფაიფურის ქარხნის ახალგაზრდულ საერთო საცხოვრებლის კლუბში ჩატარდა თემატური საღამო: „საქართველოო ლამაზო", რომლის ინიციატორები იყვნენ № 17 და № 3 საბავშვო ბიბლიოთეკა-ფილიალები (გამგეები ქ. მელია, ვ. ნაჭყებია). სცენარი შეადგინეს ლ. ქირიამ და ნ. ლუბელაძემ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკასთან არსებული დრამატული წრისა და მხატვრული კითხვის ჯგუფის წევრები: მ. ხუბულავა, ი. ვვარამია, თ. აბრალავა, ხ. ექონია, ხ. ჯანაშია, ი. აფაქიძე, დები პაპიაშვილების ტრიო.

სცენაზე აჟღერდა დამოუკიდებელი საქართველოს სადიდებელი ლექსები, სიმღერები, წარმოდგენილ იქნა ეპიზოდები ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან. დასასრულს საამოდ ახმიანდა დიდებული ჰიმნი „ჩემო კარგო ქვეყანავ".

მ. მელია,

№ 8 საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე.

განახლების გზაზე შემდგარ ჩვენს რესპუბლიკას ურთულესი პრობლემები აქვს გადასაწყვეტი. ხალხმა არა ორაზროვნად, ცალსახად გამოხატა თავისი დამოკიდებულება მიმდინარე პროცესებისადმი. ცხადია, არავის არ სურს ცხოვრება ძვე-სტური აღმშენებლობის" წლებში ათასნაირი დეფორმაცია განიცადა. მართალია, ეს სფერო უსასრულო კრიტიკის, კილვისა და გმობის ობიექტად ბევრჯერ ქცეულა, მაგრამ ხელშესახებ შედეგებისთვის ვერა და ვერ მივაღწევია. ამის მიზეზი სხვა იმიტომ, რომ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გარდაქმნა არ მოჰყვა. ეროვნული წეს-ჩვეულებების დრომოჭმული, ფუნქციადაკარგული, სიმახინჯედ ქცეული ნაწილი ვერა და ვერ მოგვიცილებია. ზუგდიდში ისევ

# ნამდვილად არ გვეკადრება

ლებურად. მოსაწყენ, ერთფეროვან, ლოზუნგებითა და ცრუ დაპირებებით შეფერადებულ სინამდვილეს წერტილი უნდა დაესვას. იქ, სადაც ბოგინობდა მოჩვენებითი კეთილდღეობა და ილუზია, რეალურმა ფაქტმა უნდა დაიმკვიდროს ადგილი. საგნებს თანდათან ერქმევა თავისი სახელი, თავისი კოლორიტი და მნიშვნელობა უბრუნდება მივიწყებულ, იგნორირებულ ღირებულებებს.

ძიების, ფერიცვალების ამ მოძრავ, მრავალსახა ატმოსფეროში თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს წმიდათაწმიდა ეროვნულმა ტრადიციამ. ამ მხრივ ბევრი რამით შეგვიძლია თავი მოვიწონოთ. უმდიდრესი სულიერი საგანძურის მფლობელები ვართ. ამ ეთნოგრაფიულ თავისთავადობაში ირეკლება ქართველი კაცის მსოფლმხედველობა. ეროვნული ჩვევა, ხასიათის სპეციფიკური ნიშნები, ინტერესების სფერო. ჩვენს წინაპარს საოცარი შინაგანი ინტუიციით შეეძლო ემპირიული სინამდვილის ქაოსში განეჭვრიტა ღვთაებრივი ჰარმონია, ხილული საგნებისა და მოვლენების მიღმა ეგრძნო ის იდუმალება და მშვენიერება, რაც მისი შთაგონების წყაროს წარმოადგენდა.

ღირებულებათა ამ სისტემაში თავის გამოკვეთილ ადგილს იჭერს ეროვნული წეს-ჩვეულებები, რომელმაც „სოციალი-

მომენტებთან ერთად ისიც იყო, რომ თვით ადათ-წესების გაყალბებლებთან ბრძოლის ფორმები და მეთოდები არ იყო გამოსადეგი. მეტწილად ეს მეთოდოლოგია ეფუძნებოდა ადმინისტრაციულ - მბრძანებლურ პრინციპს. ბუნებრივია, თვით ავტორიტარული სისტემის მიერ შეშინებული, დაბნეული მოქალაქე თავს ძნელად აღწევდა ყალბი ინერციის ძალას. ასე თანდათან, მეთოდურად და მზაკვრულად დაკრისტალდა ობივატელის ცნობიერებაში წამხედურობის, მიბაძვის სინდრომი. სავალდებულო ნორმად იქცა გადაჭარბებული ქელეხებისა და ქორწილების მოწყობა. არ გამოიღო ნაყოფი სხვადასხვა კომისიების, რეიდების ეგიდით გამართულმა შემოწმებებმა, კარდაკარ სიარულმა, ფაქტების გულდაგულ დაფიქსირებამ. ყალბი და საეჭვო ფასეულობებზე ორიენტირებული გონება არ იკარებდა ასევე ვალის მოხდის მიზნით მოხმობილ ღონისძიებებს, არ სჯეროდა მისი. ქართველი კაცისთვის ჩვეული ოდინდელი თავმოყვარეობის, ზომიერების, შინაგანი კრძალვისა და სიფაქიზის გრძნობა დაეჯახნა მოხვევის საძრახ ჟინს. ასე დამკვიდრდა ღახვეწილი ხულის შემაწუხებელი გლოვისა, თუ მოლხენის უამრავი მახინჯი ფორმა, ანტიწესი.

რატომ ვუბრუნდებით ამ მტკივნეულ თემას? მხოლოდ იმართება წრეგადასული ქორწილები და ქელეხები. ათასნაირი ხორაგეულით დატვირთული მაგიდები ამ ტოტალური დეფიციტის ფონზე გაოცებანარევ გულისწყრომას იწვევს. ნუთუ ასე დავკარგეთ რეალობის განცდა, თავმდაბლობა და რიდი. ეს ხომ აშკარა ცინიზმია, თვით ახალი დროის, ფასეულობათა, სალოცავთა ახალი იერარქიის უტიფრად გამოწვევაა. ჟღვლანი ხმამაღლა გვაიძახით, რომ ქართველი კაცი ოდინდელი ცხოვრების წესს უნდა დაუბრუნდეს. სინამდვილეში კი უძრაობის წლებიდან მოყოლილ მტვერსა და ჩენჩოს ძნელად ვიბერტყავთ მხრებიდან. ნუთუ აღარ დადგა ახლა მაინც ის დრო, რომ მავნე წესჩვეულებათა უპერსპექტივობა და განწირულობა ბოლომდე გავითავისოთ. ჩვენი ხალხი დღეს ურთულეს ამოცანებს არის შეჭიდებული და არა გვაქვს მორალური უფლება თვითგანახლებისა და ზნეობრივი აღორძინების გზაზე მას დამატებითი წინაღობები შევუქმნათ.

ჩვენო თანამემამულენო! ზურგი ვაქციოთ გაყალბებულ, დეფორმირებულ ადათ-წესებს. დავუბრუნოთ მათ ოდინდელი ელფერი და სისადავე, ყოველივე ის, რაც ღაამშვენებდა თავისუფლებისათვის შემართულ ქართველ ერს.

# ეხმარება დეფიციტურ ბიუჯეტსაც

რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ადგილობრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, მათი მარაგის შექმნის, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ეფექტიანი ნაცვალგებითი გაცვლით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკის მთავრობამ 1990 წლის 9 ნოემბერს მიიღო საგანგებო №789 განკარგულება, რომლითაც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსებისა და ხილის გატანის ნება დართო კოოპერატივებს ადგილობრივი რაიონული (საქალაქო) საბჭოების მიერ გაცემული მკაცრი აღრიცხვის საშვებით ამ პროდუქციის ზღვრული შესყიდვი ფასების 50 პროცენტის ოდენობით ერთჯერადი გადასახადის ადგილობრივი სასოფლო (საქალაქო) საბჭოების ანგარიშზე შეტანის შემდეგ.

კოოპერატივებს აღნიშნული გადასახადი უბრუნდებათ მთლიანად ან ნაწილობრივ მათ მიერ შემოტანილი ექვივალენტური ღირებულების საქონლის პროპორციულად საფინანსო განყოფილების დასკვნის საფუძველზე.

საფინანსო განყოფილების მიერ, რაიონისა და ქალაქის კოოპერატივების მიერ ციტრუსებისა და ხილის გატანისას ადგილობრივ ბიუჯეტზე ერთჯერადი გადასახადის გადახდის და შემოტანილი ექვივალენტური ღირებულების საქონლის პროპორციულად თანხის დაბრუნების მდგომარეობის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული განკარგულების გამოცემიდან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ 87 კოოპერატივის მიერ გატანილ იქნა 907,5 ათასი მანეთის ციტრუსი, სანაცვლოდ დღემდე შემოტანილია 634,7 ათასი მანეთის სხვადასხვა საქონელი.

აქედან 18 კოოპერატივის გაცვლითი წესით შემოტანილი საქონლის ექვივალენტური ღირებულების პროპორციულად ნაკლებად ჰქონდა გადახდილი, ან საერთოდ არ ჰქონდა ბიუჯეტში გადახდილი ერთჯერადი გადასახადი 67,8 ათასი მანეთი, რაზედაც კოოპერატივებზე წაყენებული იქნება საინკასო დავალებები თანხის ბიუჯეტში ამოღებაზე.

22 კოოპერატივის მიერ ციტრუსების გატანისას გადახდილი ერთჯერადი გადასახადი 136,1 ათასი მანეთი, რომლის სანაცვლოდ საქონელი დღემდე არ არის შემოტანილი, ირიცხებოდა სასოფლო საბჭოების ბიუჯეტგარეშე სპეცანგარიშებს ან გარიცხვის... რაც განყოფილების მითითებით გადატანილ იქნა კუთვნილებისამებრ ბიუჯეტის ძირითად ანგარიშზე.

ამდენად, ადგილობრივი ბიუჯეტის ბრუნვაში მოქცეული იქნება სულ 204,2 ათასი მანეთი. როგორც ვხედავთ, გაცვლითი ოპერაციები სხვა სიკეთესთან ერთად ეხმარება დეფიციტურ ბიუჯეტსაც.

შემოწმებამ ისიც გვიჩვენა, რომ კოოპერატივების მიერ გაცვლითი ოპერაციებით შემოტანილი საქონლის რეალიზაციის საკითხს მეტი კონტროლი სჭირდება სათანადო ორგანოების მხრივ.

ნ. მიქენაია,

ქ. ზუგდიდის ზონის საფინანსო განყოფილების უფროსი ეკონომისტი.

# ფუდოკან კარატე-დოს ტურნირი „ზუგდიდი-91" და კოლხი ბიჭების გამარჯვება

ევროპის სამგზის ჩემპიონი, ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური დირექტორი, შავი ქამრის მეექვსე დანის მფლობელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ილია იორგა წერს: „სამურაის საბრძოლო სულისკვეთებამ, რომელსაც იაპონელი ინსტრუქტორები მინერგავდნენ, ჩემში უფრო მეტად ჩემი ეროვნული სულისკვეთება დახვეწა და გააღრმავა". ვუყურებდი ქართველი კარატისტების ორთაბრძოლას და ვრწმუნდებოდი ბატონ იორგას სიტყვებში, ვგრძნობდი ქართველი გენის დახვეწილობას, ყოველი ჟესტის ზუსტ მიმართულებას — ეს იყო ქართული რაინდული სულისა და მშვენიერი სხეულის დემონსტრირება. ეროვნული სულისკვეთების ჩუმი მწვერვალი, აქედან იწყება სიყვარული და სინათლე, აქ სული იწმინდება და სხეული სრულყოფილების ზენიტს აღწევს...

ცნობისათვის: ფუდოკანი — თანამედროვე კარატეს ერთ-ერთი თანამედროვე სტილია, რომელიც აერთიანებს როგორც თანამედროვე მიდგომას კარატე დოსადმი, აგრეთვე უახლოეს მიღწევებს ბიომექანიკისა და ფიზიოლოგიის დარგში. ეს სტილი განვითარებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. რაც შეეხება საქართველოს ფუდოკან კარატე-დოს ცენტრს, ის შეიქმნა 1989 წლის დეკემბერში, ხოლო 1990 წელს პირველი ქართული სპორტული ორგანიზაცია, როგორც სრულუფლებიანი და დამოუკიდებელი, საერთაშორისო ფედერაციის წევრი გახდა...

ყველას გვახსოვს ალბათ, ის ორჭოფული დამოკიდებულება აღმოსავლური ორთაბრძოლებისადმი, რომელიც ჩვენში სუფევდა, არადა მოზარდებს ძალიან იზიდავდა ეს მომხიბვლელი სანახაობა, სულისა და სხეულის სიმტკიცის გამოვლინება, მაგრამ ვიღაც-ვიღაცეებს მოუცელგადმოგდებული მილიციელების ფონზე, არ აწყობდათ ქუჩაში გავლილი მტკიცე ნაბიჯის ადამიანები, რომლებიც ყველაზე ნაკლები, საკუთარი სხეულის დაცვას მაინც შეძლებდნენ... ამიტომაც, „ჩვენს" სახელმწიფოში, კანონით წლების განმავლობაში აიკრძალა კარატეს ყოველგვარი სწავლება. თუმცა...

მერაბ ოყუჯავა ჩვენი თანაქალაქელია, აღმოსავლური ორთაბრძოლების პირველი გაკვეთილები მოსკოვში მიიღო, მისი მასწავლებელია მეექვსე დანის მფლობელი, მსოფლიოში ცნობილი ოსტატი თადეუშ კასიანოვი. მერაბი მოზარდებს ავარჯიშებდა სარდაფებში, მიყრუებულ ან მიტოვებულ, გაპარტახებულ დარბაზებში... იყო დაბარებები სუკში, მილიციაში, „დიდი" ხალხის არასასიამოვნო ემოციები, მაგრამ „ნეტარ არიან მორწმუნენი"...

1990 წელს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ზუგდიდის რეგიონალურ საკრებულოსთან შეიქმნა აღმოსავლური ორთაბრძოლების ცენტრი „ავაზა" — თავმჯდომარედ წითელი ქამრის მფლობელი, მერაბ ოყუჯავა აირჩიეს...

ერთი წლის ლეგალურმა და ექვსი წლის არალეგალურმა ვარჯიშებმა, თავგამოდებულმა შრომამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

მოკლედ ჩვენს ქალაქში 17, 18, 19 მაისს ჩატარებულ ფუდოკან კარატე-დოს ცენტრის ხტილური სემინარისა და ტურნირ „ზუგდიდი-91-ის" შესახებ: სემინარზე შეიკრიბა 200-მდე კარატისტი — თბილისიდან, ზესტაფონიდან, სენაკიდან, გალიდან. საერთაშორისო ნორმების მიხედვით სემინარი ფასიანი იყო და ითვალისწინებდა კარატისტთა უზრუნველყოფას სასტუმროთი, სამჯერადი კვებით, ტრანსპორტით, აუზითა და რა თქმა უნდა გაძლიერებული ვარჯიშებით კარატეში დღეში 2-ჯერ. სემინარ-ტურნირს უძღვებოდა საქართველოს ფუდოკან კარატე-დოს ტექნიკური დირექტორი, მეორე დანის მფლობელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი ზურაბ მერაბიშვილი, ზუგდიდელ კარატისტთა მაღალმა დ... ალაფრთოვანა ტურნირზე მოწვეული მაღალპროფესიონალი ოსტატები. საატესტაციო სემინარზე ჩვენმა თანაქალაქელებმა 45 ყვითელი, 12 ნარინჯისფერი და 2 მწვანე ქამარი მოიპოვეს. იუნიორებში პირველ და მესამე ადგილზე გავიდნენ მერაბ ოყუჯავას მოსწავლეები: ჯონი ბელქანია და არნოლდ წურწუმია, ამ უკანასკნელმა 4 წამში დაამარცხა მოწინააღმდეგე, რაც არც ისე ხშირია კარატეში და მსაჯთა კოლეგიის დიდი სიმპათია დაიმსახურა. მეორე ადგილზე საინტერესო ორთაბრძოლით სენაკელი კარატისტი გავიდა.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში 30-მდე კარატისტმა სცადა სულისა და სხეულის სიძლიერე. მერაბ ოყუჯავას გამოწვრთნილმა კობა ხმელიძემ მაყურებელს ჭეშმარიტი ორთაბრძოლის ოსტატობა უჩვენა, ის ამ ტურნირის ნამდვილი ჩემპიონი იყო.

მაყურებელთა სიმპათიები დაიმსახურა არნოლდ წურწუმიამ. ქალაქის კომბინატის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის დირექციის მიერ დაწესებული პრიზი ჯონი ბელქანიას ერგო.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# ყველას, ვისაც პირუტყვი ჰყავს

მიუხედავად წლების განმავლობაში არაერთი მკაცრი ზომების გატარებისა, ვერა და ვერ აღიკვეთა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში უმეთვალყუროდ მიშვებული პირუტყვის თარეში. ქალაქში მოხეტიალე პირუტყვმა განადგურების პირამდე მიიყვანა მწვანე მეურნეობა. არის ფაქტები, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი სპეციალურად უშვებს საქონელს და ხელს უწყობს ქალაქში უწესრიგობას, რათა ავტორიტეტი შეულახოს არსებულ ხელისუფლებას.

გამომდინარე აქედან, ამ დღეებში ქალაქის კომუნალურ განყოფილებაში გაიმართა საგანგებო სხდომა, სადაც მთელი სიმკაცრით იყო მსჯელობა არსებული, ყოვლად გაუმართლებელი და სამარცხვინო მდგომარეობის შესახებ. სხდომას სხვა ხელმძღვანელებთან ერთად ესწრებოდა ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი ბატონი თამაზ ქორთოლიანი. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება 1991 წლის 1 ივნისიდან გატარდეს უკიდურესი ზომები ქალაქში მოხეტიალე პირუტყვის სალიკვიდაციოდ. ამ მიზნით ჩატარდება სადღეღამისო რეიდები განყოფილების მუშაკთა მონაწილეობით და ის პირუტყვი, რომელიც აღმოჩნდება უმეთვალყუროდ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, დაჭერისთანავე ჩაბარდება ცხოველდამზადების კომბინატს, ან მეცხოველეობის საიჯარო სექტორს. დაჭერილი საქონლის ცოცხალი წონის საფასური, ჯარიმა და ზარალის ანაზღაურების შემდეგ დარჩენილი თანხა მთლიანად გადაერიცხება ქალაქის ბიუჯეტს და პირუტყვის მეპატრონე, ფაქტობრივად, ვერ მიიღებს კუთვნილი საქონლის საფასურს.

**საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილება მკაცრად აფრთხილებს ქალაქში მოსახლე პირუტყვის მეპატრონეებს, რომ თავიანთი საქონელი (ძროხა, ღორი, ცხვარი) იყოლიონ მხოლოდ სრულ ბაგურ შენახვაზე.**

# ოპერატიული ვითარება ზუგდიდში 10—20 მაისი

ამა წლის 10 მაისიდან 20 მაისამდე ზუგდიდში რეგისტრირებულია 31 დანაშაული. მათ შორის მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის 9, ძარცვის 1, სხეულის დაზიანების 1, ავტომანქანის გატაცების 2, მოქალაქეთა ქონების განადგურების 1, მიწის მიტაცების 8, სპეკულაციის 7, მკვლელობის 1 და სხვა ფაქტები.

19 მაისს, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, ელენე ივანეს ასულმა უკრაინცევა-შამუგიამ სანადირო თოფით მოკლა თავისი ქმარი ნ. შამუგია. ბოროტმოქმედი აყვანილია წინასწარ პატიმრობაში.

ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს ენგურქალაქკომბინატის განყოფილების (მმართველი ხ. სოხელია) №20 მაღაზიიდან (გამგე ი. სოხელია, გამყიდველი ლ. ტორუა) ამოღებულ იქნა გადანახული 4500 ქილა დაკონსერვებული ხორცი. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

დააკავეს თეიმურაზ გურიელის ძე ლურწკაია, რომლის საცხოვრებელი სახლიდან (სოხუმის ქუჩა №143) ამოღებულ იქნა ორი ნაქურდალი „ჟიგულის" მარკის ავტომანქანა.

ავტომანქანის გატაცებისა და შემდგომ იმავე მანქანით ავტოსაგზაო შემთხვევის ჩადენისათვის დაკავებულია ბაქოს ქუჩა №48-ში მცხოვრები მარლენ მურმანის ძე სორდია. ჯიბის ქურდობის ფაქტზე ამხილეს ხერგიანის ქუჩა №2-ში მცხოვრები კობა კოტეს ძე მარღია. მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის დაკავებული არიან სოფელ ანაკლიის მკვიდრნი: ომარ ილიკოს ძე ჩიქობავა, კოტე თომას ძე ყორშია და მერაბ ნოეს ძე ფიფია.

ამოღებულ იქნა ორი ცალი ცეცხლსასროლი იარაღი.

# ფუდოკან კარატე—დოს ტურნირი „ზუგდიდი-91" და კოლხი ბიჭების გამარჯვება

(დასასრული)

არავინ იფიქროს, რადგან ტურნირი აქ ტარდებოდა, მასპინძლებს მიტომ წყალობდათ სამურაი, ზუგდიდელებმა ჭეშმარიტად დაიმსახურეს საპრიზო ადგილები.

მართლაც, „ზუგდიდი-91", რომელიც ქაღალდის კომბინატის სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში ჩატარდა, ჩატარდა მაღალ დონეზე, რისთვისაც მადლობა ყველას, ვინც ხელი შეუწყო ამ ტურნირის ჩატარებას, სპორტული კომპლექსის დირექციას, ქალაქ ზუგდიდის სპორტკომიტეტს, ქალბატონ ნინა ბახტაძეს, ბატონებს — ნუგზარ მიქავასა და კახა ხუნწარიას, ტურნირის სპონსორს ჩაის კომბინატ „ოდიშის" დირექტორს ლერი ჯიქიას... წერილის ავტორისაგან ულრმესი მადლობა ბატონ ოთარ ფაცაციას, დღევანდელი სამწვერიდან უფრო მკაფიოდ ჩანს, რომ არც ისე ადვილი ყოფილა ჯუნგლური ცივილიზაციის პერიოდში ასეთი კომპლექსების მშენებლობა..

და ბოლოს, სიკეთეს ვუსურვებ ფუდოკან კარატე-დოს სამეგრელოს რეგიონალური ფედერაციის თავმჯდომარეს, ეროვნული გვარდიის კაპიტანს, სამაჩაბლოს შავი დღეების მონაწილეს, ნამდვილ კოლხ ვაჟკაცს, სულით წმინდა და სხეულით ჯანსაღ რაინდს, ბატონ მერაბ ოყუჯავას, რამეთუ ფუდოკანი პირდაპირ თარგმანში მყარ საძირკველზე ნაგებ შენობას ნიშნავს. სიმბოლურია საქართველოს ფუდოკანისათვის ეს შინაარსი, რადგან მერაბის მიზანია აღზარდოს პირველ რიგში ჯანმრთელი, მამაცი და კეთილშობილი ადამიანი (შემდეგ ჩემპიონი), რომელსაც მყარი ეროვნული საძირკველი ექნება და სულითა და სხეულით ერის ინტერესებს დაიცავს.

მაია კალანდია.

# გასწორება

28 მაისის ნომრის მესამე გვერდზე დაბეჭდილ ინფორმაციაში „უკანონო დადგენილება გაუქმებულია" გაპარულია შეცდომა:

წერილის ბოლო აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა ამასწინათ გააუქმა ზემოთ აღნიშნული დადგენილება ჯ. გადელიას შესახებ, როგორც შრომის კანონმდებლობის დარღვევით მიღებული უკანონო და პარტიის რაიკომის ბიუროს უფლებამოსილებას გადამეტებული.

---

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი.

8 ივნისი, 1991 წელი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

(უმაღლესი ჯგუფი)

„ოდიში" ზუგდიდი — „ალაზანი" გურჯაანი

დასაწყისი 18 საათზე.

გათამაშდება ერთგულების ლატარია.

ლატარიის ბილეთები და შესასვლელი ბილეთები გაიყიდება ცენტრალური სტადიონის სალაროებში 2, 8 ივნისს დილის 10 საათიდან.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში".

---

ზუგდიდის ხორცკომბინატი აცნობებს მოსახლეობას, რომ აწარმოებს კერძო სექტორიდან პირუტყვის დამზადებას. 1 კგ ცოცხალ წონაზე გაიცემა კომბინირებული საკვები 3 კგ. დადგენილ სახელმწიფო ფასებში.

მსურველებს შეგიძლიათ მიმართოთ ქარხნის დირექციას ან შესაბამის სოფლის საკრებულოებს.

ქარხნის მისამართია: ზუგდიდი, სოფ. ახალაბასთუმანი, ხორცკომბინატი.

---

# გამოსათხოვარი

ზუგდიდელ მხატვართა საძმოს გამოაკლდა მხატვარი იან ლავრენტის ძე ჟვანია.

იგი დაიბადა 1918 წელს სოფელ ნარაზენში, დაამთავრა თბილისის სამხატვრო სასწავლებელი, 1939 წელს გაიწვიეს არმიის რიგებში. მონაწილეობდა ფინეთთან ომში, მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანგებთან ერთად იბრძოდა საავიაციო ესკადრილია „ნორმანდია ნემანში".

1946 წელს ი. ჟვანია მუშაობას იწყებს მხატვარ-გამფორმებლად. ჩვენი კუთხის არაერთ სოფელში ნახავდით მას ფუნჯით ხელში. მის გარშემო უამრავი ფერები ეწყო, იდგა მაღალ ხარაჩოზე სოფელ-ქვეყანას ბრძოლაში განცდილსა თუ გადატანილზე ხაზებითა და ფერებით უყვებოდა.

მის ყალამს არაერთი სურათი ეკუთვნის. ცოცხალი, ხასხასა ფერებით გადაწყვეტილი ნატურმორტები, კოპწია ოდებით დამშვენებული კორტოხები და რაც მთავარია, დაუზარებელი, გამრჯე ადამიანები, რომლებიც ქართული მიწის ბარაქას ქმნიან.

1985 წელს მოსკოვში გამართულ ხალხური შემოქმედების საკავშირო გამოფენაზე წარდგენილი ნამუშევრებისათვის ლაურეატის საპატიო დიპლომი დაიმსახურა.

წავიდა ჩვენგან კეთილშობილი, მომხიბლავი პიროვნება, რომელიც მისაბაძი იყო თავმდაბლობით, წესიერებით, ანთებული იყო უდიდესი სურვილით ამქვეყნად მხოლოდ სიკეთე ეთესა.

რედაქტორი აკ. ჭანტურია.

---

ცაიშის კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივი იუწყება **ლიდია ლავრენტის ასულ ქირიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მერვე საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება **ლიდა ანდრიას ასულ როგავა-ფარჯიკიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შვილი ციური ჯალაღონია, სიძე ფილიქს კვარაცხელია შვილებით კობა და კახათი, მზახალი ბაბუცი ჩიქოვანი იუწყებიან **დავით ეპიფანეს ძე ჯალაღონიას** გარდაცვალებას.

უნივერმაღ №1-ის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ვალოდია მალაქიას ძე ოჩიგავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გული და მარგო მაქაცარიები, შალვა ბერიშვილი, კოლია ესებუა შვილებით იუწყებიან **მალხაზ ბოჩოს ძე მაქაცარიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. ზუგდიდის მეექვსე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და მეცხრე (ა) კლასის მოსწავლეები იუწყებიან **ლენა ჟორდანია-ქირიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თამარა ნაროუშვილი, კაპიტონ გვაჯაია შვილებით: ლუარა, ლუიზა და ნუგზარი, რძალი ცუცა ჩიხაია, სიძეები ვენია აბულაძე, შოთა ხველელიძე, ბეჟან მესხი, შვილიშვილებით თამუნია და თემური გვაჯაიები, ზვიადი და შორენა აბულაძეები, ნინო ხველელიძე, დათო და ლაშა მესხები იუწყებიან **ტიტიკო ვარლამის ძე კვატიძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დედა ლენა, დები: ხათუნა, ირმა. ძმები: თამაზი, რამაზი, ნუგზარი, როლანდი. რძლები: ნანული ქვარაია, ციალა ჯანჯღავა, ძმისშვილები: ლატავრა, ანა, ზურიკო, ნანა, დეიდები: ნევოლინა, თათუშა, ქსენია, შურა, გული. მამიდა ტატიანა, ბიძა ამირანი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან **რევაზ ვალოდიას ძე კალანდიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31 მაისს, დაკრძალვა 2 ივნისს სოფ. ჭითაწყარში.

მეუღლე ვერა, შვილები: ციალა, ფერიდე, ციური, დათო ჯალაღონიები, რძალი ირინა ყალიჩავა, სიძე ფელიქსი კვარაცხელია ოჯახებით იუწყებიან **დავით ეპიფანეს ძე ჯალაღონიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 მაისს, 1 ივნისს. დაკრძალვა 2 ივნისს სოფ. ჯიხაშკარში.

ცოლისძმები: კაკო, გურამი, რძლები: თინა, ნათი ჭურღულიები შვილებით იუწყებიან **ნაპოლეონ ბუჯუს ძე ფიფიას** გარდაცვალებას.

შვილი ნანული. სიძე ლაზმირ ქარჩავა. შვილიშვილი ნანა იუწყებიან **ალექსანდრე სერაპიონის ძე ქირიას** გარდაცვალებას.

ომისა და შრომის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება ომისა და შრომის ვეტერანების **იან ლავრენტის ძე ჟვანიას და აკაკი ნესტორის ძე სოსელიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახებს.

ზუგდიდის №103 სასწავლებლის კოლექტივი თანაუგრძნობს ავრორა და ლევთერ ფიფიებს მამის **ნაპო ბუჯუს ძე ფიფიას** გარდაცვალების გამო.

ცაიშის კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივი იუწყება **ძაძუ ბეგლარის ასულ ოყუჯავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შვილები: როზა, როენა, ნუგზარ ჯოლიები, სიძეები: იძნურ ფარცვანია, ნუკრი ვოგოხია, შვილიშვილები ხათუნა, მამუკა, თამილა ფარცვანიები, შვილთაშვილები: სანდრო, ბექა გოგოხიები იუწყებიან **ოლია ილარიონის ასულ გვაზავა-ჯოლიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 ივნისს ქ. სოხუმი, სამშენებლოს ქ. 18, გამოსვენება 18 საათზე.

ქ. ზუგდიდის ბავშვთა სამხატვრო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი თანაუგრძნობენ ქეთინო ჟვანიას მამის **იან ლავრენტის ძე ჟვანიას** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23 07, ტირაჟი 8000 შეკ. №2228